საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030632209252716

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

**#06/5075** **27 / ოქტომბერი / 2016 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვალერი კვარაცხელიას

ბატონო ვალერი,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებულ პროგრამებს - „საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა“ და „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14 სექტემბერს სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და კომპანია შპს "იუ ჯი თი ინთელიჯენთ სოფთვეა სოლუშენს" შორის რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის **(ERP) - Microsoft DynAX ALNG** დანერგვის მომსახურების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ GF-T/SET/S-361 (SPA160022931). აღნიშნული პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, ზემოხსენებული საგრანტო პროგრამების ფარგლებში საჭირო გახდა მონაცემთა მართვის საინფორმაციო სისტემების შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობების და შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ჩატარდა ბაზრის მოკვლევა. შესაბამისი წერილობითი შეტყობინება დაეგზავნა საქართველოში არსებულ 9 (ცხრა) ორგანიზაციას, რომელთაც პოტენციურად აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ შესყიდვის ობიექტის მოწოდება და რომლებიც მონაწილეობენ მსგავსი სახის აპარატურის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში.

ბაზრის კვლევის შედეგად, შესასყიდი აპარატურის მახასიათებლები და შესაბამისი განფასება მოწოდებული იქნა ორი ორგანიზაციის მიერ, შპს „იუ-ჯი-თი“ – 67,903.10 აშშ დოლარი და შპს „გრინ პროჯექტი“ – 68,500.00 აშშ დოლარი.

ამდენად ბაზრის კვლევაზე წარმოდგენილი წინადადებების ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესყიდვის ობიექტის ჯამური სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 67,903.10 აშშ დოლარით, რომლის ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა მოხდება ტენდერის გამოცხადების დღისათვის ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 22 ივლისის №01-146/ო ბრძანების საფუძველზე და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 09 იანვრის №01/929 წერილის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ შემდეგ

დოკუმენტაციას:

1. სატენდერო დოკუმენტაცია - 17 ფურცელი;
2. ბაზრის კვლევაზე ორგანიზაციებში დაგზავნილი წერილები - 9 ფურცელი;
3. პოტენციური მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია (შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები და ფასები) – 4 ფურცელი.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე